ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახური

№ ც-ს/გ14456-16

"26" 10 2016 წ.

დადგენილება №001923
სამშენებლო სამართალდარღვევის
საქმეზე

26.10.2016წ. ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7

მე, სამსახურის უფროსის მოადგილემ მიხეილ მაღლაკელიძემ განვიხილე 2016 წლის 04 ოქტომბრის №001923 მითითება და 2016 წლის 25 ოქტომბრის №001923 შემოწმების აქტი, შედგენილი შ.პ.ს. "ფორტის დეველოპმენტი"-ს (საიდენტიფიკაციო კოდი №205266488, დირ. ალექსანდრე მეტრეველი (პირადი №01026004493), მის: ქ. თბილისი, ყიფშიძის ქ. №9) მიმართ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევისათვის.

გამოვარკვიე:

ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. №9-ში (საკ. კოდი №01.14.14.003.073) შ.პ.ს. "ფორტის დეველოპმენტი"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1584425 AR1252194 08.11.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით – ფასადი „1-7": „3/-4" და „6-6/" მონაკვეთებში სადარბაზოს ლითონის გისოსები მონაცვლებულია ქვემოდან ზევით და ფასადზე გამოსულია რიგელები. ფასადი „8-1": +41.200 ნიშნულზე „7-6" და „4-3" მონაკვეთში შეცვლილია საკომუნიკაციო შახტების ვიზუალური მხარე და დამატებულია მცირე ზომის ღიობები. -3.350 ნიშნულზე დამატებულია მონოლითური კედლები. შეცვლილია სართულის კონფიგურაცია და შემცირებულია ფართი. კედლებში დამატებულია საკომუნიკაციო ღიობები და მილები. შეცვლილია კოლონების რაოდენობა. „ა-ა" და „1-1" ღერძის გადაკვეთასთან გაზრდილია სართულის სიმაღლე. „3-4" მონაკვეთში „ბ-ბ" ღერძთან მონოლითურ კედლეს გაზრდილი აქვს სიგრძე. „8//-11//" მონაკვეთში ბ//-ბ//" ღერძთან მოწყობილია ქანობიანი ფილა და შემცირებულია სართულის ნაწილის სიმაღლე. ±0.000 ნიშნულზე „3/-3/" და „ბ-ბ" ღერძების გადაკვეთასთან შემცირებულია მონოლითური კედლის სიგრძე. +41.200 ნიშნულზე „3-2" მონაკვეთში „გ-გ" ღერძზე დამატებულია კარ-ფანჯარა და „დ-გ" და „4-2" მონაკვეთების გადაკვეთაზე ათვისებულია საზაფხულო ფართი (ტერასა). +44.500 ნიშნულზე ნაცვლად ბრტყელი გადახურვისა მოწყობილია თუნუქის ქანობიანი გადახურვა და დამატებულია სამერცხლეები. ასევე ნიშნულის ზემოთ კიბის და

ლიფტის დანაშენებზე მოწყობილია თუნუქის ქანობიანი გადახურვა. „6/-6/" და „3/-3/" ღერძების მიმდებარედ ლიფტის ღიობებზე მოწყობილია კაპიტალური კედლები, ფილა და შექმნიალია დონეები. შეცვლილია საწვიმრების რაოდენობა. სართულების ნაწილზე შეცვლილია კედლების მასალა და კედლების ნაწილი გათხელებულია. ასევე გათხელებულია სართულშუა გადახურვის მონოლითური ფილები. გაზრდილია საკომუნიკაციო შახტების და ღიობების რაოდნობა. შეცვლილია რიგელების რაოდენობა. შეცვლილია პარაპეტების კონფიგურაცია და რაოდენობა. შეცვლილია კარ-ფანჯრის და ვიტრაჟების სიმაღლეები, ვუზუალური მხარე და ფერი. ასევე შეცვლილია კარ-ფანჯრის, ვიტრაჟების და მათი ღიობების რაოდენობა. შეცვლილია აივნის მოაჯირების ვიზუალური მხარე და აივნების ნაწილზე დამატებულია თუნუქის საცრემლეები. „6-6" მონაკვეთში სადარბაზოს გისოსებს გაზრდილი აქვთ სიგრძე. აივნებზე კარების ნაწილს მონაცვლებული აქვთ ადგილმდებარეობა. შეცვლილია შენობის ღებვის ვიზუალური მხარე. არსებული კაპიტალური ღობე და სადარაჯო ჯიხური ნაწილობრივ სცდება საკადასტრო საზღვრებს და გადადის როგორც სახელმწიფო ასევე კერძო საკუთრებაში არსებულ საკადასტრო საზღვრებში (იხ. სამსახურის აზომვითი ნახაზი 26.09.2016წ.).

სამსახურის სპეციალისტის მიერ საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, სამართალდამრღვევის მიმართ 2016 წლის 04 ოქტომბერს შედგენილ იქნა მითითება №001923, რომლითაც მხარეს განესაზღვრა 25 (ოცდახუთი) დღიანი ვადა ობიექტის პროექტთან შესაბამისობაში მოსაყვანად.

2016 წლის 25 ოქტომბერს საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, სამსახურის სპეციალისტის მიერ შედგა შემოწმების აქტი №001923, რომლითაც დაფიქსირდა მითითების მოთხოვნათა შეუსრულებლობა.

საქმეშია, ობიექტის ამსახველი ფოტომასალა; მხარის №377931/12 19.10.2016წ. განცხადება, რომლითაც მხარე ეთანხმება მითითებით დაწყებულ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოებას და მოთხოვნილია გადაწყვეტილების მიღება მხარის დასწრების გარეშე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან, შ.პ.ს. "ფორტის დეველოპმენტი"-ს მიერ ჩადენილია საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 45-ე მუხლის (სანებართვო პირობების დარღვევა ან/და შეუსრულებლობა) 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით გათვალისწინებული სამშენებლო სამართალდარღვევა, კერძოდ, ქ. თბილისში, ყიფშიძის ქ. №9-ში (საკ. კოდი №01.14.14.003.073) შ.პ.ს. "ფორტის დეველოპმენტი"-ს მიერ განხორციელდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურის №1584425 AR1252194 08.11.2014წ. ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული პროექტის დარღვევით

ვიხელმძღვანელე რა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის IV თავით, 2009 წლის 24 მარტის საქართველოს მთავრობის №57 დადგენილებით "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ", საქართველოს კანონის "პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი"-ს 25-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 25-ე მუხლის მე-9 ნაწილის "ა" პუნქტით, 25-ე მუხლის მე-18 ნაწილით, 25-ე მუხლის 21-ე ნაწილით, 25-ე მუხლის 22-ე ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილითა და 45-ე მუხლის 1-ლი ნაწილის "ა" პუნქტის "ა.გ." ქვეპუნქტით

დავადგინე:

1. შ.პ.ს. “ფორტის დეველოპმენტი” დაჯარიმდეს 4.000 (ოთხიათასი) ლარით პროექტის დარღვევით IV კლასის შენობა-ნაგებობის მშენებლობისათვის;

2. შ.პ.ს. “ფორტის დეველოპმენტი”-ს დაევალოს საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 26-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, ჯარიმა გადაიხადოს ბიუჯეტის სასარგებლოდ დაჯარიმების შესახებ დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში;

საჯარიმო თანხა ჩაირიცხოს შემდეგ ანგარიშზე - მიმღების დასახელება: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო, მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: **TRESGE22,** საბიუჯეტო შემოსავლის სახაზინო კოდი: 300773263, გადახდის დანიშნულება: დადგენილების ნომერი სამშენებლო სამართალდარღვევის საქმეზე.

3. საჯარიმო თანხის ნებაყოფლობით გადახდის შემთხვევაში, შ.პ.ს. “ფორტის დეველოპმენტი”-ს დაევალოს, შესაბამისი გადახდის ქვითრის წარმოდგენა.

4. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 25-ე მუხლის მე-10 ნაწილის შესაბამისად, “დამრღვევის მიერ დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში სამშენებლო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანო იღებს დადგენილებას საურავის დაკისრების შესახებ”, ხოლო საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 26-ე მუხლის მე-2 ნაწილით, დაკისრებული ჯარიმის გადაუხდელობის შემთხვევაში, დადგენილების ჩაბარებიდან 30 დღეში დადგენილებით განსაზღვრული საჯარიმო თანხის ოდენობით.

5. სამართალდამრღვევს განემარტოს, რომ საქართველოს კანონის “პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი”-ს 26-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, ჯარიმის დაკისრების სამართლებრივი საფუძვლების აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, ჯარიმის დაკისრებიდან ყოველი სამი თვის შემდეგ, დამრღვევი დაჯარიმდება წინა ჯარიმით გათვალისწინებული საჯარიმო თანხის სამმაგი ოდენობით, რომელიც დამრღვევს შეიძლება დაეკისროს არა უმეტეს სამჯერ.

6. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს, მისი გაცნობიდან (ჩაბარებიდან /განთავსებიდან) 15 დღის ვადაში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7).

სამსახურის უფროსის
მოადგილე მ. მაღლაკელიძე

საგადახდო დავალება
Payment Order

1478596800 GEL

ს.ს. "თიბისი ბანკი"

თარიღი / Date 08/11/2016

გადამხდელი / Sender

შპს "ფორტის დეველოპმენტი", 205266488

გადამხდელის ანგარიში / Sender's Account GE39TB7560836050100001

გადამხდელის ბანკი / Sender's Bank

სს თიბისი ბანკი

ბანკის კოდი / Bank Code TBCBGE22

ინფორმაცია პირზე, რომლის მაგივრადაც სრულდება გადახდა
Information on a person on behalf of whom the payment is made

დასახელება / Name შპს "ფორტის დეველოპმენტი", 205266488

საიდენტიფიკაციო კოდი / Sender's Tax Code 205266488

მიმღები / Receiver

ხაზინის ერთიანი ანგარიში. სხვა შემოსულობები (თვითმმართველი ქალაქი თბილ

მიმღების ანგარიში / სახაზინო კოდი Receiver's Acc./ Treasury Code 300773263

მიმღების ბანკი / ხაზინა Receiver's Bank / Treasury

ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ბანკის კოდი / Bank Code TRESGE22

გადახდის დანიშნულება / Operation Details

შემოსავალი სანქციებიდან (ჯარიმები და საურავები) არქიტექტურულ - სამშენებლო საქმიანობაში გამოვლენილი დარღვევის გამო

დამატებითი ინფორმაცია / Additional Information

დადგენილება 001923 საფუძველზე

რეფერენსი / Ref. Num.

1472726181

თანხა / Amount

4,000.00 GEL

თანხა სიტყვიერად
Amount in words

ოთხი ათასი ლარი და 00 თეთრი

ბანკში საგადახდო დავალების მიღების/წარდგენის თარიღი
Document submission/receiving date

08/11/2016

ხელმოწერა
Signature

დაბეჭდილია ინტერნეტ ბანკით
თიბისი ბანკი TBC BANK
PRINTED VIA INTERNET BANKING

ხელმოწერები
Signatures

ამ დოკუმენტის ხელმოწერით კლიენტი ადასტურებს, რომ: დეტალურად იცნობს სს "თიბისი ბანკის" ფილიალებსა და ინტერნეტ გვერდზე www.tbcbank.ge განთავსებულ საბანკო ოპერაციების წარმოების შესახებ ხელშეკრულების პირობებს (ამ ხელშეკრულებაში შეტანილ ყველა ცვლილებასა და დამატებას) და ეთანხმება მათ, რითაც უერთდება ზემოხსენებულ ხელშეკრულებას.